

საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სოციალური მომსახურების სააგენტო

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030433336659315

04-92/ა

31 / მარტი / 2015 წ.

„საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, კრიტიკული მდგომარეობების/ ინტენსიური თერაპიის ტარიფების დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებით (შემდგომში – „დადგენილება“) დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ (შემდგომში – „პროგრამა“) მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, ამავე დადგენილებაში საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის N139 დადგენილებით შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით, პროგრამის ადმინისტრირების ეფექტურობისა და განხორციელების პროცესის რიგი საკითხების დაზუსტების მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დადგენილების დანართი N1.2-ის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით (კრიტიკული მდგომარეობები/ინტენსიური თერაპია) განსაზღვრული მომსახურების (მათ შორის: კრიტიკული მდგომარეობების/ინტენსიური თერაპიის შემთხვევაში უწყვეტად 21 დღის შემდეგ დაყოვნება, თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპია და ჰემოტრანსფუზია) ანაზღაურება მოხდეს დადგენილების 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით განსაზღვრული ღირებულების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს განმახორციელებლის მიერ ამ ბრძანების N1 დანართით დადგენილი ტარიფით.

2. დაევალოთ:

ა) სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ. გოგოლაძე) წინამდებარე ბრძანების გაგზავნა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტისა და სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრებისათვის, აგრეთვე, სააგენტოს ვებ-გვერდზე ([www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge)) განთავსება საჯარო გაცნობის მიზნით.

ბ) სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტს (მ. მალაქელიძე-ხომერიკი) ყველა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების ინფორმირება, წინამდებარე ბრძანების გაცნობის მიზნით.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელისმოწერისთანავე და გავრცელდეს 2015 წლის 1 აპრილიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს  
დირექტორი, საქართველოს შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის  
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე

დაყოვნება 21 ს/დ ჩათვლით

დაყოვნება >21ს/დ

		მრავალპროფილური	მონოპროფილური	საწოლების რაოდენობა	მრავალპროფილური	მონოპროფილური	
თბილისი	I დონე	300	210	>50	180	126	
	II-III დონე	600	420		360	252	
რეგიონი	I დონე	270	189		144	100	
	II-III დონე	540	378		288	200	
თბილისი	I დონე	270	189		ტოლია ან <50	162	113
	II-III დონე	540	378			324	225
რეგიონი	I დონე	240	170	130		90	
	II-III დონე	480	335	260		180	
ქუთაისი	I დონე	270		>50, <50		150	
	II-III დონე	540				300	

ნეონატალური ასაკის ინტენსიური მოვლა/მკურნალობა

I დონე	250		150
II-III დონე	500		300

თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპია (1 სეანსი)

120 ლარი

სისხლისა და სისხლის კომპონენტების გადასხმა (ერთი ტრანსფუზია)

80 ლარი